8


საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

სამინისტროს ტერიტორიული ორგანო

ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი


MES 5 21 0000434286

06/05/2021

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს**
**ბატონ პაატა ახალაძეს**

**ბატონო პაატა,**

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 აპრილს N425944 კორესპოდენციით მოგვმართა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის დირექციამ, ამავე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. (იხ. დანართები)

გთხოვთ, განიხილოთ

**პატივისცემით,**

რესურსცენტრის უფროსი
ჩხეტიანი მამუკა


მისამართი: ქ. წყალტუბო რუსთაველის ქ. N25 ტელ: (0436) 22 24 46 ელ. ფოსტა: tskaltubo@mes.gov.ge


710

სსიპ წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის სოფელ
გეგუთის N1 საჯარო სკოლა

LEPL. TSKALTUBO
MUNICIPALITY VILLAGE
GEGUTI PUBLIC SCHOOL N1

MES 6 21 0000425944

29/04/2021

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ მამუკა ჩხეტიანს

ბატონო მამუკა,
მოგახსენებთ, რომ სსიპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის დირექციისა და სამეურვეო საბჭოს შეთანხმებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია და სურვილი გვაქვს, რომ სკოლას მიენიჭოს თამარ მეფის სახელი.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 -ის ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" მუხლი 41-ის საფუძველზე სამეურვეო საბჭო შესაბამისი სხდომის ოქმს უგზავნის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს, რათა განიხილონ ინიციატივა.
დანართის სახით გიგზავნით სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმს.
გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, რათა კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილონ საკითხი სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ.

მადლობა თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

711

ბატ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ტელ: 577964437; ელ-ფოსტა: geguticskola@gmail.com, საფოსტო ინდექსი 5400

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის
№1 საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მამისეიშვილი მაია

მ. მამისეიშვილი

712

**სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის**
**N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის**
**ოქმი N3**

15 აპრილი 2021 წ.

სოფელი გეგუთი

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:**

1. თამარი სახელაშვილი-მჟავანაძე ( სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე)
2. თამარ გაბუნია ( სამეურვეო საბჭოს მდივანი )
3. მზია ფანჩულიძე (მასწავლებელი)
4. მაგდანა კაპანაძე (მშობელი)
5. ინგა გოგისვანიძე (მშობელი)
6. ლილი მამისეიშვილი (მასწავლებელი)

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მაია მამისეიშვილი**

**სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარი სახელაშვილი-მჟავანაძე**

**სხდომისმდივანი:თამარგაბუნია**

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

**დღის წესრიგი:**

- **სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების მიზანშწონილობის შესახებ.**

კენჭი ეყარა წინადადებას სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა- 0
**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**საკითხი N1. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების მიზანშწონილობის შესახებ.**

**მომხსენებელი:** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე თამარი სახელაშვილი-მჟავანაძე.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა თამარი სახელაშვილი-მჟავანაძემ სამეურვეო საბჭოს გააცნო,რომ 2021 წლის 12 აპრილს სკოლის დირექციამ მიმართა სამეურვეო საბჭოს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ. მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის

სახელის მინიჭების წესის“ თანახმად სკოლისათვის სახელის მინიჭების საკითხს განიხილავს სამეურვეო საბჭო.

ქალბატონმა თამარმა განმარტა, რომ „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ მე-2 მუხლის თანახმად სკოლას შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ:

ა) სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო ან სასულიერო პირის სახელი;

ბ) სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი;

გ) სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდიკის სახელი;

დ) ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

**აზრი გამოთქვა:** მაგდანა კაპანაძემ, მან აღნიშნა, რომ გეგუთი ცნობილია „ციხე დარბაზით“, რომელიც VIII საუკუნის არქიტექტურული ძეგლია. გეგუთის სასახლეს, რომელიც მეფეთა სანადირო დასასვენებელი იყო ზამთრის პერიოდში, ხშირად სტუმრობდა მეფე თამარი და ისტორიას თამარის ციხედ შემორჩა, რადგან მისი მეფობის დროს აღზევდა და დასრულდა ეს საერო ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუში. სწორედ აქ გამოაცხადა გიორგი III-მ თანამოსაყდრედ თამარ მეფე.

14 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდანად შერაცხული ქართველთა უძლეველი მეფის -თამარის ხსენების დღეს აღნიშნავს.

თამარობის დღესასწაული გეგუთში 1990 წლის შემდეგ აღინიშნება. ყოველ 14 მაისს გეგუთის ციხე-დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე იმართება ტოღი, სხვადასხვა სპორტული ღონისძებები და კულტურული წარმოდგენები,

გეგუთის მოსახლეობის დიდ სურვილია, რომ გეგუთის N1 საჯარო სკოლა ატარებდეს თამარ მეფის სახელს.

**აზრი გამოთქვა:** მზია ფანჩულიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა.რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მიზანშეწონილად მიმაჩნია სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლას ეწოდოს თამარ მეფის სახელი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა- 0

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს:**
მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლათვის ეწოდოს თამარ მეფის სახელის მინიჭება.
**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.**

სხდომის დასრულების დრო: 15: 00სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: /თ. სახელაშვილი-მჟავანაძე/
სამეურვეო საბჭოს მდივნი: /თ.გაბუნია/

**ადრესატი:**

თენგიზ ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49211446**
თარიღი: **24/05/2021**

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ თენგიზ ნიჟარაძეს

ბატონო თენგიზ,
კომისიაზე განხილვის მიზნით წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს - ,,სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე".

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

715

**სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2021 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი №3), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს თამარ მეფის სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა**
**და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის**

# დ ა ს კ ვ ნ ა

**სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ 2021 წლის 28 მაისის კომისიის სხდომაზე განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2021 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი №3), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია თანახმაა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს თამარ მეფის სახელი და მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
თენგიზ ნიჟარაძე

პროექტი

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ მაისი

ქ. წყალტუბო

**სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2021 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი №3), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს თამარ მეფის სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — თენგიზ ნიჟარაძე